საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-12 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოგიდგენთ **ნანა ბღარაშვილისა** და **ირაკლი იადონიძის** კანდიდატურებს.

მიხეილ სააკაშვილი

N1/162
10.06.2013

№07-1/62
12.06.2013
4

ცნობა

ნანა ბღარაშვილი დაიბადა 1985 წლის 24 მარტს.

2006 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

2003-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების პროკურორის თანაშემწედ;

2004-2006 წლებში იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსი პროკურორის თანაშემწე;

2007-2009 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებში წარმომადგენლობის განყოფილების წამყვან სპეციალისტად;

2008 წელს იყო მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის ლექტორი ამავე პერიოდში - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ტრენერი;

2009-2010 წლებში იყო საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს მრჩეველი.

2010-2012 წლებში მუშაობდა გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ლექტორად (საარჩევნო სამართალი);

2010-2011 წლებში იყო საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსი;

2011-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ.

2012-2013 წლებში იყო საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.

2010 წლიდან დღემდე არის სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფასილიტატორი.

2011 წლიდან დღემდე არის სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენერი.

2012 წლიდან დღემდე არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი (საარჩევნო სამართალი);

2006-2012 წლებში გავლილი აქვს სხვადასხვა ტრენინგი და მიღებული აქვს სერტიფიკატები (მათ შორის, 2009 წელს მიიღო BRIDGE Facilitator - ის სერტიფიკატი);

2013 წელს მიღებული აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

დავით უმეკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის
საქმისწარმოებისა და საკადრო საკითხთა
სამსახურის უფროსი